

მსო

საქმის № 14

ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება

10.02.2010 № 14
(თბილისი)

უნივერსიტეტის საქმისწარმოების
წესის სრულყოფის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1
ივლისის №414 ბრძანებულების „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ დამტკიცებისა და
ამოქმედების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან გასული
წერილების გაფორმების წესის განასზღვრის მიზნით

ბრძანება

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბლანკის ფორმა
დანართი №1-ს შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის ბლანკს უნდა გააჩნდეს შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები:
ბლანკის სახიან მხარეზე მცირე სახელმწიფო გერბი ფერებში, ხოლო უკანა
მხარეზე ინდივიდუალური ექვსციფრა ნომერი;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან გასული ყველა წერილი უნდა
დაიბეჭდოს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებულ უნივერსიტეტის ბლანკზე;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან გასულ წერილს ხელს აწერს
უნივერსიტეტის უფლებამოსილი თანამდებობის პირი (რექტორი, მისი
მოადგილეები ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მათი კომპეტენციის
ფარგლებში).
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან გასული წერილი კანცელარიის
მეშვეობით ტარდება რეგისტრაციაში, ენიჭება შესაბამისი სარეგისტრაციო
ნომერი და თარიღი;
6. უნივერსიტეტის ფარგლებში, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის
საქმისწარმოების საჭიროებიდან გამომდინარე, მხოლოდ შიდა მიმოწერისათვის,
შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შესაბამისი ერთეულისათვის დამზადებული
ბლანკი, რომელიც დამტკიცებული უნდა იქნას უნივერსიტეტის ბრძანებით;
7. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს
კანცელარიაში.
8. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი

ა. გვრამიაშვილი

ვიზები:

კანცელარიის უფროსი

ე. ოხანაშვილი

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი

ბ. მაისურაძე

ბრძანება: